ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №4/ს

გამარტივებული შესყიდვა

ქ. ოზურგეთი „3" მაისი 2018 წელი.

ერთის მხრივ , ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი" დირექტორის ნანა ჯოლიას სახით(შემდეგში შემსყიდველი)ს/კ237079497. მეორეს მხრივ შპს „მაი მობაილ +" ს/კ 205294705 წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ბოკერიას სახით (შემდეგში მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანომდებლობით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მიკროსკოპის შესყიდვა ,სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპოგრამით" გათვალისწინებულ პროექტის ფარგლებში სასწავლო პროცესებისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სავარაუდო რაოდენობა და ფასები მოცემულია დანართი №1-ში (ფასებისცხრილი), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: მიკროსკოპი CPV38500000.

3. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება

3.1.შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 3600.00(სამიათას ექვსსი ლარი და ნული თეთრი).

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მოსაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. "შესყიდვის ობიექტის" მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დეფექტი/ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

4.3მოსაწოდებელი საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი, ექსპლოატაციისთვის ვარგისი, არ უნდა ეტყობოდეს გარეგანი დაზიანებები, წინაამღდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდებული საქონელი შეაკეთოს ან შეცვალოს ახლით.პროდუქცია უნდა იყოს ქარხნული წარმოების; შესაბამისი შეფუთვით; დაზიანებისგარეშე;

4.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მოწოდებულ საქონელზე საგარანტიო მომსახურება (გარდა მექანიკური დაზიანებისა) საქონლის მოწოდების მომენტიდან, განსაზღვრული საგარანტიო ვადით, რომლის განმავლობაში „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას „შემსყიდველის" მხრიდან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დაადგინოს და აღმოფხვრას პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა „შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.5.მოსაწოდებელი საქონელის ვარგისიანობის ვადა, მოწოდების დღისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 12 თვეს.

5. შესყიდვისობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 25(ოცდახუთი)კალენდარული დღისა.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ოზურგეთი,რუსთაველის ქუჩა N8

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი და სასაქონლო ზედნადები).

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარფების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
6.2.თანხლებ დოკუმენტაციაზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი დიმიტრი ნაცვალაძე.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.
7.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მოწოდებული საქონლის შესაბამისად.
7.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება მე-5 მუხლის 5.3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან არა უგვიანეს10 (ათი) კალენდარული დღისა.

8. მხარეთაუფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლებააქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია: მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: - მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

„შემსყიდველი“: 6-

„მიმწოდებელი“:

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრადასხვასტიქიურიმოვლენები, აგრეთვეომებიდასაომარიმოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამთვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შორენა ნიკოლაიშვილი(შესყიდვების სპეციალისტი)

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15 .1ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან2018 წლის 30 ივლისამდე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი,,ჰორიზონტი“	შპს მაი მობაილ+
მისამართი :ქ.ოზურგეთი ,რუსთაველის ქ.№8	მის: ქ.თბილისი ალ ყაზბეგის 9
ს.კ.237079497	ს/კ 205294705
ქ.თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“	ბანკი სს „თი-ბი-სი ბანკი“
	ანგარიშის GE03TB3486736020100009
სახაზინო კოდი: 32030116	TBCBGE 22
დირექტორი : /ნანა ჯოლია /	დირექტორი: ზურაბ ბოკერია

დანართი 1

	კატეგორიის ქვეკატეგორიის კოდი	შესყიდვის კატეგორიის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეული ფასი	ფასი
1	38510000	AmScope 7X-45X Trinocular Stereo Zoom Microscope with Dual Halogen Lights and 1.3MP Camera (SKU: SM-2T-M)	ცალი	2.00	1800.00	3600.00
3600.(სამი ათას ექვსასი ლარი და ნული თეთრი)						

„შემსყიდველი“:

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი„ჰორიზონტი“
მისამართი :ქ.ოზურგეთი ,რუსთაველის ქ.№8
ს.კ.237079497
ქ.თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“

სახაზინო კოდი: 32030116

დირექტორი : /ნანა ჯოლია /

„მიმწოდებელი“:

შპს მაი მობაილ+
მის: ქ.თბილისი ალ ყაზბეგის 9
ს/კ 205294705
ბანკი სს „თი-ბი-სი ბანკი"
ანგარიშის GE03TB3486736020100009
TBCBGE 22

დირექტორი: ზურაბ ბოკერია